საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01–108/ნ

2019 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/10/2018; 040030000.22.035.016523) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის განხორციელების ნაწილში 2019 წლის 1 დეკემბრამდე.“.

2. **ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის:**

ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა.";

ბ) **მე-2 პუნქტის:**

ბ.ა) **„ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;";

ბ.ბ) **„კ-რ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;**

ბ.გ) **,,ს" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

ს) კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებზე მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ბ.დ) **„წ-ჰ^{2}“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**